

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით.

ცვლილებათა საფუძველს წარმოედგენს როგორც ტერმინოლოგიური, ასევე სხვა სამართლებრივი და ლოგიკური ხასიათის საკითხები.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობასი მოყვანას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტთან, იგი:

- აუქმებს სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთებს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზიაზე, ვინაიდან აღნიშნული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით აღარ რეგულირდება;
- ანაცვლებს ისტორიისა და კულტურის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო სახეობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვით და ამცირებს მოსაკრებელს, ვინაიდან არსებული მოსაკრებელი შეუსაბამოდ დიდია და ხელს უწყობს ძეგლებზე, განსაკუთრებით მოძრავ ძეგლებზე, ასევე უძრავი ძეგლის შემთხვევაში მცირე სარეაბილიტაციო და კვლევითი საქმიანობის არაღელვალურად, თვითნებურად წარმოებას;
- ადგენს მოსაკრებელს ახალ სანებართვო სახეობაზე – „არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვაზე“;
- აუქმებს ანტიკვარიატით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ნორმას, რადგან აღარ არსებობს შესაბამისი სალიცენზიო სახეობა;
- შესაბამისობაში მოყავს ტერმინოლოგიურად „საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა“ და ანაცვლებს მას „საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვით“.

#### კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

##### ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი ითვალისწინებს რიგი ახალი რეგულირების შემოღებას, თუმცა კანონპროექტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული წარმოებები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებებს არ ითვალისწინებს. აღნიშნული ხარჯები ანაზღაურდება სამინისტროზე ასიგნებული თანხებიდან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:**

გავლენას არ ახდენს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის თანახმად, არ იცვლება მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტი ითვალისწინება ახალი ჯარიმის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.